პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 29 (189) 20 ოქტომბერი 1962 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი

444. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლიბანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. ი. კორნეევის გათავისუფლების შესახებ.

445. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლიბანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. ს. ნიკიფოროვის დანიშვნის შესახებ.

446. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ტ. ნოვიკოვის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

447. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ამპლეევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

448. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. ა. კოროვინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

449. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ი. ერემენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

450. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. არუთინიანის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

451. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. პოდზერკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

452. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ს. პ. ბოროდინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

453. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ტ. ჩერედნიჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა გვინეის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ. ბ. ბარიმ.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**444** ლიბანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. ი. კორნევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ვასილ ივანეს ძე კორნევი ლიბანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 8 ოქტომბერი.

№ 525-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**445** ლიბანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. ს. ნიკიფოროვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დიმიტრი სიმონის ძე ნიკიფოროვი ლიბანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 8 ოქტომბერი.

№ 526-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**446** ამხ. ე. ტ. ნოვიკოვის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ეგნატე ტროფიმეს ძე ნოვიკოვი სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 11 ოქტომბერი.

№ 531-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 447 ამხ. ნ. ა. ამპლეევის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

მნიშვნელოვანი მეცნიერული დოკუმენტის გამოსაქვეყნებლად მომზადების დროს კვლევით სამუშაოში მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ნიკოლოზ ანდრიას ძე ამპლეევი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 ოქტომბერი.
№ 529-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 448 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ე. ა. კოროვინის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისა და მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ევგენი ალექსანდრეს ძე კოროვინი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 11 ოქტომბერი.
№ 530-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 449 საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ი. ერემენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მარშალი ანდრია ივანეს ძე ერემენკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ოქტომბერი.
№ 536-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 450 ამხ. ა. ა. არუთინიანის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით კანადაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ამაზასპ ავაკიმის ძე **არუთინიანი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ოქტომბერი.

№ 541-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 451 ამხ. ვ. ა. პოდზერკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პროფესიულ კავშირებში აქტიური მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ ანდრიას ძე **პოდზერკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ოქტომბერი.

№ 542-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 452 მწერალ ს. პ. ბოროდინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი სერგი პეტრეს ძე **ბოროდინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ოქტომბერი.

№ 543-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 453 ამხ. ე. ტ. ჩერედნიჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პროფესიულ კავშირებში აქტიური მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ევგენი ტროფიმეს ძე ჩერედნიჩენკო დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 13 ოქტომბერი.

№ 544-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა გვინეის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ. ბ. ბარიმ

ა. წ. 6 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო გვინეის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირო ბუბაკარა ბარი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მეორე მდივნები ბანგურა კასორი და სისოკო შერიფი, სავაჭრო ატაშე ჰადი ბოკუმი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის მეორე განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ი. კარავაევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები გ. ნ. დულიანი და ი. ი. მარჩუკი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ბ. ბ. ბარის. საუბარს ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე და ს. გ. ლაპინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები**

№ 29 (189) 20 ოქტომბერი 1962 წ.

**სარედაქციო კოლეგია**

**გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**(ქართულ და რუსულ ენებზე)**

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი

**ფასი 10 კაპ.**

**ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ**

№ 29 (189) 20 октября 1962 г.

**Редакционная коллегия**

**Издатель — Президиум Верховного Совета ГССР**

**(На грузинском и русском языках)**

**Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели 8, Дом Правительства**

**ЦЕНА 10 КОП.**

შეკვეთა 983 ტირაჟი 2500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1962 წ. 22 ოქტომბერს.

Подписано к печати 22 октября 1962 г.

**საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა**

**Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР**